7194-13-4-2-201509071105

N 13-4/7194
07/09/2015

ქ.ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი ჭეიშვილს

რეკომენდაცია

ქ. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დათვალიერებისას საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ მოქმედი განსხვავებული ტარიფების გამო დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლის და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

2015 წლის 19 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, რომელიც სადავოდ ხდის, ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის N309 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე N76 განკარგულებას. განმცხადებელს მიაჩნია, რომ საკრებულოს განკარგულება არის დისკრიმინაციული ვინაიდან, აღნიშნული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადგენს განსხვავებულ მოსაკრებელს საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა ქალაქ ბათუმის საკრებულოდან გამოითხოვა ინფორმაცია. 2015 წლის პირველ მაისს, ბათუმის საკრებულომ მოგვაწოდა ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის N309 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ქ.ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 14 აპრილის N76 განკარგულება და ბოტანიკური ბაღის წერილი.

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, რომ მომჩივანი (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის N309 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე N76 განკარგულებას მიიჩნევს დისკრიმინაციულად ვინაიდან, აღნიშნული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დათვალიერების საფასური საქართველოს მოქალაქეებისათვის განისაზღვრება 3 (სამი) ლარით, სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის - 8 (რვა) ლარით.

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტმა 2015 წლის 3 აპრილს წერილი გაუგზავნა ქალაქ ბათუმის საკრებულოს და სთხოვა წარმოედგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სპეციფიკურ კრიტერიუმებს ეფუძნება მოქალაქეობის ნიშნით პირთა მიერ ბოტანიკური ბაღით სარგებლობისათვის განსხვავებული მოსაკრებლის დაწესება.

ბათუმის საკრებულომ მოგვაწოდა, ქალაქ ბათუმის ბოტანიკური ბაღის მიერ 2015 წლის 21 აპრილს, ქალაქ ბათუმის საკრებულოსათვის მიწერილი წერილი.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის წერილში აღნიშნულია, რომ მათ 2014 წლის 06 თებერვალს მიმართეს ბათუმის საკრებულოს N309 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მათ საკრებულოს აცნობეს, რომ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის დადგენილი განსხვავებული ტარიფები (8 და 6 ლარი) იწვევდა დისკრიმინაციულ გაგებას და იგი იმავდროულად იყო უპრეცედენტო ევროპის ბოტანიკურ ბაღებში. ითვლებოდა, რომ ეს განსხვავება იყო სოციალური ხასიათის და მიზნად ისახავდა რაც შეიძლება მეტი ქართველი დაინტერესებულიყო ბაღის დათვალიერებით და იმ მომსახურებით, რასაც ბაღი სთავაზობს საზოგადოებას. თუმცა, ამ მიდგომის მიუხედავად, არ იზრდება ადგილობრივ დამთვალიერებელთა რიცხვი, ხოლო არსებული ნიხრის შენარჩუნებით ბაღი კარგავს საშუალოდ 200 ათას ლარს ყოველწლიურად, ვინაიდან უცხოელი დამთვალიერებლებისაგან შემოსავლის მიღების მეტი რესურსი არსებობს. იმის გათვალისწინებით, რომ ბაღის წინაშე დგას მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა ფასების გაერთიანების საკითხი.

ბოტანიკურმა ბაღმა, ამავე წერილით, საკრებულოს შესთავაზა ახალი სატარიფო გეგმა, რომლის მიხედვითაც ტარიფები იცვლებოდა დროის სხვადასხვა მონაკვეთისა და სეზონის

მიხედვით. აღნიშნული სატარიფო გეგმის შემუშავების მიზნით მათ შეისწავლეს ევროპული წამყვანი ბოტანიკური ბაღების პრაქტიკა, ასევე მათ მიერ მოხდა ვიზიტორებზე ერთი თვის განმავლოვაში დაკვირვება, და გამოიკვეთა დღის ის მონაკვეთები, როდესაც ბაღს ყველაზე ნაკლები დამთვალიერებელი ჰყავს. აღნიშნული სატარიფო გეგმა დღის მონაკვეთების და სეზონის მიხედვით ტარიფებს განსაზღვრავდა 8 და 4 ლარით საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის. აღნიშნულ ტარიფებს თან ახლდა სათანადო ეკონომიკური დასაბუთება, რომლის მიხედვითაც, ბაღი ზემოაღნიშნული ტარიფების შემოღებით შეინარჩუნებდა შემოსავლების ზრდის ტენდენციას.

2014 წლის 27 მარტის სხდომაზე ბათუმის საკრებულოს წარედგინა ზემოაღნიშნული ცვლილებათა პროექტი, თუმცა ბათუმის საკრებულომ მიზანშეწონილად არ ჩათვალა მისი განხილვა და ამოიღო დღის წესრიგიდან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმავე სხდომაზე ქალაქ ბათუმის საკრებულომ დაავალა ბოტანიკურ ბაღს ალტერნატიული პროექტის მომზადება, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა საქართველოს მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა და ის გარემოება, რომ ბოტანიკურ ბაღს შეექმნა პირობები მეტი ეკონომიკური შემოსავლის მისაღებად.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა 2014 წლის 2 აპრილის შუამდგომლობით მიმართა ქალაქ ბათუმის მერს, საკრებულოსათვის წარედგინა ცვლილებათა ალტერნატიული პროექტი, რომელიც ეყრდნობოდა სატარიფო გეგმის მოქმედ პრინციპებს, კერძოდ დიფერენცირებულ ტარიფებს საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შორის. ეს ალტერნატიული პროექტი ტარიფად განსაზღვრავდა 8 ლარს სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის და 3 ლარს საქართველოს მოქალაქეთათვის. პროექტი საკრებულოს მიერ იქნა მოწონებული და დამტკიცდა 2014 წლის 14 აპრილს (განკარგულება N 76).

ბოტანიკური ბაღის წერილში განმარტებულია, რომ პროექტის წარდგენისას მათ იხელმძღვანელეს საქართველოს მოქალაქეთა ეკონომიკური შესაძლებლობებით და ადგილობრივ მოსახლეობაში ბაღის ცნობადობისა და საბუნებისმეტყველო განათლების პოპულარიზების აუცილებლობით. ამავე დროს, მათ შესაძლებლად მიაჩნიათ ერთიანი ტარიფის შემოღებაზე მსჯელობის დაწყებაც, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს ბაღის ეკონომიკური ინტერესები.

2. სამართლებრივი შეფასება

მომჩივანი სადავოდ ხდის, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ბოტანიკური ბაღის დასათვალიერებლად ვალდებულნი არიან გადაიხადონ გაზრდილი ტარიფი საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით. ამით ისინი განსხვავებულ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი, რაც მისი აზრით, წარმოადგენს დისკრიმინაციას.

ამასთან, იმის გარდა, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის დადგენილია განსხვავებული ტარიფი, ამავე დროს მოუწესრიგებელია ის საკითხი, თუ რა ტარიფით სარგებლობენ მოქალაქეობის არმქონე პირები. მოცემული განკარგულება მოქალაქეობის არმქონე პირებს საერთოდ რეგულირების მიღმა ტოვებს და მათ მიმართ ტარიფების არაერთმნიშვნელოვანი და განსხვავებული გამოყენების პრობლემას წარმოშობს.

ზოგადი დებულებები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში***

მყოფი პირების მიმართ და განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება.***

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის ქვეშ, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე.ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[1]

კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობისას უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი არათანაბარ პირობებშია ჩაყენებული

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, *ყველას აქვს უფლება* ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, *სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი.*

კონსტიტუციის 37-ე მუხლით დადგენილი უფლებები და მოვალეობები თანაბრად ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

ამას გარდა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში უცხოელს და მოქალაქეობის არმქონე პირს აქვთ კულტურული ღირებულებებით სარგებლობის ისეთივე უფლება, როგორც – საქართველოს მოქალაქეს.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბაღები და პარკები მიეკუთვნება კულტურულ მემკვიდრეობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს, უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის და მოქალაქეობის არმქონე პირისათვის საქართველოს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი, კულტურული ღირებულებებით სარგებლობის უფლება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებაა.

განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ

---

[1] Eweida and others v. United Kingdom, Application nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, §§ 87-88; Burden v. United Kingdom, Application no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60;

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კანონის შესაბამისად განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში *დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, აღნიშნა, რომ დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას. საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს.[2]

,,უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორებიც საქართველოს მოქალაქეს.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული ბუნებრივი და კულტურული გარემოთი სარგებლობასთან დაკავშირებით საქართველოს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს კანონი თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს აკისრებს და არანაირ გამონაკლისს არ უშვებს.

შესაბამისად, ბოტანიკური ბაღის სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებით საქართველოს, უცხო ქვეყნის მოქალაქენი და მოქალაქეობის არ მქონე პირები თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან.
ბათუმის საკრებულოს N76 განკარგულება განსხვავებულ ტარიფს აწესებს საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის, რითაც იგი არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არ მქონე პირებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით.

განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთებულობა

კანონის შესაბამისად, იმისთვის რომ განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად არ ჩაითვალოს აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს ობიექტური და გონივრული გამართლება.

---

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ №3/1/512 2012 წლის 26 ივნისი პარაგრაფი 93-94-95

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სხვადასხვა საქმეში აღნიშნა, რომ მხოლოდ ძალიან სერიოზული მიზეზებით შეიძლება მოქალაქეობაზე დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობის გამართლება.[3]

ბუნებრივი და კულტურული გარემოთი, კულტურული ღირებულებებით სარგებლობისას საქართველოს კონსტიტუცია და კანონი პირდაპირ აწესებს უცხო ქვეყნის, მოქალაქეობის არ მქონე პირების და საქართველოს მოქალაქეთათვის თანაბარი სარგებლობის პრინციპს. კანონმდებელმა აღნიშნული უფლება ისეთ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნა, რომლიდანაც მოქალაქეობის ნიშნით გამონაკლისის გაკეთება გაუმართლებლად მიიჩნია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა და მათ აღნიშნული, ისევე როგორც ნებისმიერმა სხვა დაწესებულებამ უნდა განახორციელოს დისკრიმინაციის გარეშე, ვინაიდან „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი ვრცელდება საჯარო დაწესებულებებზე ნებისმიერ სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ბათუმის საკრებულომ მიზანთან და განსხვავებული მოპყრობის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, თავისი შეფასების წარმოდგენისგან თავი შეიკავა და მოგვაწოდა ბათუმის საკრებულოსათვის გაგზავნილი ბოტანიკური ბაღის წერილი.წერილში აღნიშნულია, რომ საკრებულოში პროექტის წარდგენისას მათ გაითვალისწინეს საქართველოს მოქალაქეთა ეკონომიკური შესაძლებლობა და ადგილობრივ მოსახლეობაში ბაღის ცნობადობის და საბუნებისმეტყველო განათლების პოპულარიზების აუცილებლობა.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ეს ვერ იქნება განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება, ვინაიდან ადგილობრივ მოსახლეობაში ბაღის ცნობადობის და საბუნებისმეტყველო განათლების პოპულარიზების მიღწევა შესაძლებელია საერთო ტარიფის დადგენის შემთხვევაშიც და არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის გაზრდილი ტარიფის ხარჯზე, იმის გათვალისწინებით, რომ თავად ბოტანიკური ბაღიც აღნიშნავს საკრებულოსთვის მიწერილ წერილში, რომ განსხვავებული ტარიფის დაწესების მიუხედავად, არ იზრდება ადგილობრივ დამთვალიერებელთა რიცხვი. შესაბამისად, მათ მიერ გამოყენებული საშუალებით არ მიიღწევა მათ მიერ დასახული მიზანი. აღნიშვნის ღირსია ასევე ის ფაქტი, რომ ბოტანიკური ბაღის მითითებით, დროის სხვადასხვა მონაკვეთისა და სეზონის მიხედვით განსაზღვრული ერთიანი სატარიფო სისტემის შემოღებით ბაღი შეინარჩუნებს შემოსავლების ზრდის ტენდენციას.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობის დადგენა ეფუძნება იმ შეხედულებას, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეები საქართველოს

[3] Fawsie v. Greece, Application no: 40080/07, 28.10.2010, § 35; Gaygusuz v. Austria, Application no: 17371/90, 16/09/1996, § 42

მოქალაქეებთან შედარებით, მატერიალურად უკეთ არიან უზრუნველყოფილნი და მეტი თანხის გაღების შესაძლებლობა აქვთ. აღნიშნული კი არის წინასწარ ჩამოყალიბებული, სტერეოტიპული შეხედულება, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ობიექტურ დასაბუთებას. მატერიალურად შეძლებული და შეჭირვებული პირი შესაძლოა იყოს, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეც ან მოქალაქეობის არმქონე. სტერეოტიპული დამოკიდებულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ლეგიტიმურ მიზნად და წარმოადგენდეს მის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის განსხვავებული სატარიფო წესის შემოღება წარმოადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას მოქალაქეობის ნიშნით, რამდენადაც მას არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება.

,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია: თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს შეუსაბამოს ამ კანონს და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას.

საქართველოს ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 20^1-ე მუხლის და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით, შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დათვალიერების საფასურისა და ელექტრო ავტობუსით (ელექტროკარით) მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ თვიმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს განკარგულების მოქმედ რედაქციაში და მოხდეს სატარიფო სისტემის შემუშავება უცხო ქვეყნის, მათ შორის მოქალაქეობის არმქონე პირების და საქართველოს მოქალაქეთა შორის თანასწორობის პრინციპის დაცვით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

უჩა ნანუაშვილი

სახალხო დამცველი

.